ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3189778

ნომერი: AR1491575

თარიღი : 31.03.2017

გაცემის თარიღი : 07.04.2017

გაცნობის თარიღი : 07.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N23 / ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი III ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 მარტს AR1491575 განცხადებით მომართა მოქალაქე რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელება, ახალი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირების და საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 20

ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, გლდანში, III მიკრო/რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.12.005.180 (ფართობი: 2300 კვ.მ)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ვინაიდან შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, გაცემულია მშენებლობის ნებართვა და ობიექტი მშენებარეა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.11.12.005.258 ფართობი 2850 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017084175, რეგისტრაციის თარიღი 09/02/2017 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017096792, რეგისტრაციის თარიღი 10/02/2017 წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და სავაჭრო შენობა-ნაგებობა;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 20 ნოემბრის #1581278 გადაწყვეტილებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.